



გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 1325/01
08/02/2019

1325-01-2-201902081637



ფაქტ-მეტრის მთავარ რედაქტორს
ბატონ დავით ქუტიძეს

ბატონო დავით,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, მიმდინარე წლის 28 იანვარს შემოსული №20 თქვენი წერილის პასუხად გიგზავნით 2017 და 2018 წელს ატმოსფერული ჰაერის დაცვის მიზნით 2017 და 2018 წლებში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას:

- ქ. თბილისისთვის პირველად შეიქმნა და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 12 ივლისის №1457 განკარგულებით დამტკიცდა „ქ. თბილისის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირების ხელშემწყობი ღონისძიებების შესახებ სახელმწიფო პროგრამა“. 40 პუნქტიანი პროგრამა უმთავრესად ჰაერის დაბინძურების ძირითადი წყაროებიდან გაფრქვევების შემცირების ღონისძიებებისგან შედგება. მართალია პროგრამა ძირითადად დედაქალაქის ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებას ეხება, თუმცა რიგი ღონისძიებებისა სცდება დედაქალაქის ფარგლებს და მთელ საქართველოს მოიცავს.
- 2017 წლის 1 იანვრიდან ბენზინის ხარისხის ეროვნული სტანდარტის ყველა პარამეტრი თანამედროვე ევროპულ ნორმებს გაუტოლდა. შედეგად, ქვეყანაში მოიხმარება ევრო 5 სტანდარტის ბენზინი.
- 2017 წლის 25 მაისს საქართველოს მთავრობის №256 დადგენილებით დამტკიცდა ტექნიკური რეგლამენტი “ზოგიერთ თხევად საწვავში გოგირდის შემცველობის ზღვრული მნიშვნელობების დადგენის შესახებ”, რომლითაც მძიმე საწვავში, გაზოილსა და საზღვაო ტრანსპორტის საწვავის სახეობებში განისაზღვრა გოგირდის შემცველობის ზღვრული მნიშვნელობები.
- ქ. ბათუმსა და ქ. ქუთაისში დამონტაჟდა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მონიტორინგის თანამედროვე ავტომატური სადგურები.

- ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ყოველკვარტალური ინდიკატორული გაზომვები ჩატარდა ქვეყნის 20 მუნიციპალიტეტში, მათ შორის ლანჩხუთში, ტყიბულში, საჩხერესა და ჭიათურაში პირველად.
- სამრეწველო სექტორიდან გაფრქვევების აღრიცხვის ხარისხის გაზრდისა და ანგარიშგება-აღრიცხვის პროცესის გამარტივების მიზნით დაინერგა სტაციონარული წყაროებისა და მათი წლიური გაფრქვევების აღრიცხვის ელექტრონული სისტემა.
- შეიქმნა სამრეწველო გაფრქვევების ინტერაქტიული ელექტრონული რუკა: map.emoe.gov.ge, სადაც ინფორმაცია ქვეყანაში არსებული ატმოსფერული ჰაერის სტაციონარული დაბინძურების წყაროებისა და მათი საქმიანობის შესახებ ღიად არის ხელმისაწვდომი.

საავტომობილო საწვავის ხარისხის კვლევა

საავტომობილო საწვავის ხარისხის კვლევის მიზნით, 2017 წლის თებერვალში, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ, როგორც თბილისის, ასევე რეგიონების მასშტაბით 8 ავტოგასამართი სადგურიდან აღებული იქნა ბენზინისა და დიზელის საწვავის სინჯები. ბენზინის საწვავში განსაზღვრული იქნა ოქტანური რიცხვი, ტყვიისა და გოგირდის შემცველობა, ხოლო დიზელის საწვავში - ცეტანის რიცხვი, სიმკვრივე, გოგირდისა და პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადების მასური წილი. სინჯები აღებული იქნა შემდეგი ავტოგასამართი სადგურებიდან:

- შპს „მარპეტროლი“ - (ს/კ 416299017) - ბენზინი რეგულარი, დიზელი;
- შპს „სუპერგაზი 3+“ - (ს/კ 208208688) - ბენზინი ევრო რეგულარი, დიზელი;
- შპს „პორტალ +“ - (ს/კ 405148521) - ბენზინი -პრემიუმი, დიზელი;
- შპს „ოცდარვა“ - (ს/კ 405067243) - ბენზინი - რეგულარი, დიზელი;
- შპს „მნათობი“ - (ს/კ 245540703) - ბენზინი - რეგულარი, დიზელი;
- შპს „რეკსოლი“ - (405074128) - ბენზინი - ევრო რეგულარი, დიზელი;
- შპს „ოქტანი“ - (ს/კ 443863231) - ბენზინი რეგულარი, დიზელი- ენერჯი;
- შპს „მაქსიმუმი პირველი“ - (ს/კ 412713256) - ბენზინი რეგულარი, დიზელი.

საწვავში პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადების მასური წილის განსაზღვრის მიზნით, დამატებით იქნა აღებული დიზელის საწვავის სინჯები შემდეგი კომპანიების ავტოგასამართი სადგურებიდან:

- შპს „ლუკოილ-ჯორჯია“ (ს/კ 204976302) - დიზელი;
- სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ (ს/კ 202161098) - დიზელი - ენერჯი;
- შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმ“ (ს/კ 202352514) - ნანო დიზელი;
- შპს „რომპეტროლ-საქართველო“ (ს/კ 204493002) - დიზელი efix;
- შპს „სან პეტროლეუმ ჯორჯია“ (ს/კ 404391136) - ევრო დიზელი.

ლაბორატორიული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საკვლევი საავტომობილო ბენზინის ნიმუშებში, ოქტანური რიცხვის, ტყვიისა და გოგირდის შემცველობა შესაბამისობაშია „საავტომობილო ბენზინის ხარისხობრივი

ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 31 დეკემბრის №124 დადგენილებით განსაზღვრულ ნორმებთან.

ასევე, საკვლევი დიზელის საწვავის ნიმუშებში, ცეტანური რიცხვის, სიმკვრივის, გოგირდისა და

პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადების მასური წილის მნიშვნელობები შესაბამისობაშია „დიზელის საწვავის შემადგენლობის ნორმების, ანალიზის მეთოდებისა და მათი დანერგვის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 28 დეკემბრის №238 დადგენილებით განსაზღვრულ ნორმებთან.

2017 წლის დეკემბერი

თბილისისა და რეგიონების მასშტაბით 10 ავტოგასამართი სადგურიდან აღებული იქნა ბენზინისა და დიზელის საწვავის სინჯები. ბენზინის საწვავში განსაზღვრული იქნა ოქტანური რიცხვი, ტყვიისა და გოგირდის შემცველობა, ხოლო დიზელის საწვავში - ცეტანის რიცხვი, სიმკვრივე და გოგირდის შემცველობა. სინჯები აღებული იქნა შემდეგი ავტოგასამართი სადგურებიდან:

- შპს „ელე ოილი“ (ს/კ 426527500) - დიზელი;
- ი/მ „თამაზი ოსიაშვილი“ (პ/ნ 12002001431) - დიზელი;
- შპს „პეტრომაქსი“ (ს/კ 405133555) - ბენზინი რეგულარი, დიზელი;
- ი/მ „ეთერი ლაფაჩიშვილი“ (ს/კ 45001023205) - ბენზინი რეგულარი, დიზელი;
- შპს „იორი 2006“ (ს/კ 226523704) - ბენზინი რეგულარი, დიზელი;
- შპს „XXI საუკუნე“ (ს/კ 206079875) - დიზელი;
- შპს „ბაწა“ (ს/კ 427717054) - ბენზინი რეგულარი, დიზელი;
- შპს „ულევერი 11“ (ს/კ 426518280) - დიზელი;
- შპს „მ გრუპი“ (ს/კ 426528849) - ბენზინი რეგულარი, დიზელი;
- ი/მ „გელა ბახტურიძე“ (ს/კ 08001004993) - ბენზინი რეგულარი, დიზელი;

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ განხორციელებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საკვლევი ბენზინის ნიმუშებში გოგირდისა და ტყვიის შემცველობები აკმაყოფილებდა "საავტომობილო ბენზინის ხარისხობრივი ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 31 დეკემბრის №124 დადგენილებით დადგენილ ნორმებს (2017 წლის იანვრიდან: ა) ტყვიის შემცველობა - არაუმეტეს 0,005გ/ლ; ბ) გოგირდის შემცველობა - არაუმეტეს 10 მგ/კგ). აღებულ სინჯებში ოქტანური რიცხვი მაჩვენებელი შეესაბამებოდა რეგულარის მარკისათვის განსაზღვრულ მნიშვნელობას.

ამავე კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საკვლევი დიზელის საწვავის სამ ნიმუშში გოგირდის შემცველობა ვერ აკმაყოფილებდა „დიზელის საწვავის შემადგენლობის ნორმების, ანალიზის მეთოდებისა და მათი დანერგვის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 28 დეკემბრის №238 დადგენილებით განსაზღვრულ ნორმებს. კერძოდ, გოგირდის შემცველობა დიზელის საწვავში მერყეობდა 308 მგ/კგ -372 მგ/კგ ფარგლებში (2017 წლის იანვრიდან გოგირდის შემცველობა - არაუმეტეს 100 მგ/კგ).

აღნიშნულიდან გამომდინარე, დეპარტამენტის შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმები, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 913 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, შემდეგი ობიექტების მიმართ:

- შპს „ელე ოილი“ (გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. მარტყოფი);
- შპს „XXI საუკუნე“ (გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. მარტყოფი);
- ი/მ თამაზი ოსიაშვილი (გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. მარტყოფი).

სასამართლომ ზემოთმითითებული კომპანიები სცნო ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად და დააკისრა ჯარიმა 8 000 ლარის ოდენობით.

2018 წელი

- დაინერგა ატმოსფერული ჰაერის ხარისხის თანამედროვე ევროპული სტანდარტები.

შემუშავდა და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 ივნისის N383 დადგენილებით დამტკიცდა “ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების დადგენის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი”. შედეგად, 2018 წლის 1 აგვისტოდან ქვეყანაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასება თანამედროვე ევროპული სტანდარტების საფუძველზე ხორციელდება.

- გაფართოვდა ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელი

შემენილ იქნა ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის მობილური ავტომატური სადგური, რომლის საშუალებით მონიტორინგის წარმოება შესაძლებელია ქვეყნის სხვადასხვა ტერიტორიაზე. ეს საშუალებას იძლევა მოხდეს ე.წ. ცხელი წერტილების იდენტიფიცირება და მონიტორინგის ქსელის შემდგომი გაფართოების უკეთ დაგეგმვა. ამასთან, 2018 წელს გაიზარდა იმ დასახლებული პუნქტების რაოდენობა, სადაც ჰაერის ხარისხის ინდიკატორული გაზომვები ხორციელდება. დღეს ინდიკატორული გაზომვების გზით ჰაერის ხარისხის შეფასება ქვეყნის 25 მუნიციპალიტეტში ხორციელდება.

- შეიქმნა ატმოსფერული ჰაერის ხარისხის პორტალი air.gov.ge

ატმოსფერული ჰაერის ხარისხის, მისი გაუმჯობესების ღონისძიებების, დაბინძურების წყაროების და ატმოსფერული ჰაერისა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის საკითხებთან დაკავშირებით მოსახლეობის დროულად და მარტივად აღსაქმელი ფორმით ინფორმირების მიზნით შეიქმნა ატმოსფერული ჰაერის ხარისხის პორტალი: air.gov.ge

- გამკაცრდა დიზელის საწვავის ხარისხის სტანდარტი. შედეგად, 2020 წლის 1 იანვრიდან დიზელის ხარისხის ევრო 5 ნორმას გაუტოლდება.

დიზელის საწვავის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მომზადდა და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 ნოემბრის N550 დადგენილებით ცვლილებები შევიდა „დიზელის საწვავის შემადგენლობის ნორმების, ანალიზის მეთოდებისა და მათი დანერგვის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 25 დეკემბრის №238 დადგენილებაში. შედეგად, 2020 წლის 1 იანვრიდან ქვეყანაში დიზელის საწვავის ხარისხი ევრო 5 სტანდარტამდე აიწევს, ხოლო 2019 წლის 1 იანვრიდან იგი ევრო 4 სტანდარტს გაუტოლდა.

საწვავის ხარისხის კონტროლი

2018 წლის მაისი

განხორციელდა შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/კ 404391136) კუთვნილი ავტოგასამართი სადგურებიდან საწვავის მიწოდების პროცესში საავტომობილო ბენზინისა და დიზელის საწვავის ხარისხის საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით შემოწმებები. სინჯების აღება მოხდა შემდეგ მისამართებზე განთავსებული ავტოგასამართი სადგურებიდან:

1. ქ.თბილისი, კახეთის გზატკეცილი, საქნავთობის დასახლების მიმდებარედ;
2. ქ. ქუთაისი, დ. აღმაშენებლისა და და-ძმა უორდროპების ქ. №99;
3. ქ. ხაშური, ბორჯომის ქ. №7;
4. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახალსოფელი;
5. მარნეულის მუნიციპალიტეტი, 26 მაისის ქუჩა;
6. ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი პატარა ხობი;
7. თელავის მუნიციპალიტეტი, სოფელი ვარდისუბანი.

აღებული ბენზინისა და დიზელის საკვლევი ნიმუშები საანალიზოდ გაიგზავნა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროში. განხორციელებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საკვლევი ბენზინის ნიმუშებში გოგირდისა და ტყვიის შემცველობები აკმაყოფილებდა "სავტომობილო ბენზინის ხარისხობრივი ნორმების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 31 დეკემბრის №124 დადგენილებით დადგენილ ნორმებს.

ასევე, საკვლევი დიზელის საწვავის ნიმუშებში, ცეტანური რიცხვის, სიმკვრივისა და გოგირდის შემცველობის მნიშვნელობები აკმაყოფილებდა „დიზელის საწვავის შემადგენლობის ნორმების, ანალიზის მეთოდებისა და მათი დანერგვის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 28 დეკემბრის №238 დადგენილებით განსაზღვრულ ნორმებს

2018 წლის დეკემბერი

დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში არსებული, შერჩევითი წესით განსაზღვრული 136 ბენზინგასამართი სადგურიდან, აღებული იქნა 240 ერთეული სხვადასხვა მარკის საავტომობილო ბენზინის სინჯი, მათში ტყვიის შემცველობის განსაზღვრის მიზნით. სინჯები აღებული იქნა შემდეგი ავტოგასამართი სადგურებიდან:

1. თბილისი (30 სინჯი):

- შპს "სან პეტროლიუმ ჯორჯია", ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი, კოსმონავტის ძეგლის მიმდებარედ;
- შპს "სტრანსი", ქ. თბილისი, ვაზისუბნის დასახლება 25-ე კორპუსის მიმდებარედ;
- შპს "lion", ქ. თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის მოედანი №6;
- სს "ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია", ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-9 კილომეტრი;
- შპს "ფრეგო", ქ. თბილისი, საქართველოს სამხედრო გზა, მე-15კმ;
- შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი", ქ. თბილისი, შეშელიძის ქ. № 34;
- შპს "პორტალ +", ქ. თბილისი, ჩარგალ-ჟღენტის გადაკვეთა;
- შპს "რომპეტროლ საქართველო", ქ. თბილისი, ქსნისა და ფეიქრების ქუჩის კვეთა;
- შპს "ლუკოილ ჯორჯია", ქ. თბილისი, სამთო ქიმიის მოპირდაპირე მხარე;
- შპს "ინტერ", ქ. თბილისი, ჯავახეთის ქ. №26;
- შპს "ნიკი", ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №109;
- შპს "ბებე", ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №113;
- შპს "ეკოპეტროლი", ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. №12;
- შპს "იბერკომპანი", ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი ქ. №31.

2. სამეგრელო-ზემო სვანეთი (28 სინჯი):

- შპს "GOLDEN OILI", ზუგდიდი, ინგირი;
- ინდ/მეწარმე ლანა ფეტელავა, ზუგდიდი, ინგირი;
- ინდ/მეწარმე გიორგი ფიფია, ზუგდიდი, ნაწულუკუ;
- შპს "რუხი", ზუგდიდი, კახათი;
- შპს "სინათლე-91", ზუგდიდი, ცაიში;
- ინდ/მეწარმე დავით ესაბუა, ზუგდიდი, ოდიში;
- შპს "ფრეგო", ზუგდიდი, ინგირი;
- ინდ/მეწარმე დავით ჯიქია, ზუგდიდი, ჭითაწყარო;
- შპს "სან პეტროლიუმ ჯორჯია", წალენჯიხა, სოფ. ლია;
- შპს "სათნო", ფოთი, კოკაიას ხეივანი;
- ინდ/მეწარმე თენგიზ ჯღარკავა, ხობი, აღმაშენებლის ქ. № 37;
- ინდ/მეწარმე ბაგრატ გვაზავა, მარტვილი, მშვიდობის ქ. №12;
- ინდ/მეწარმე ლონდა თოფურია, მარტვილი, გაჭედილი;
- შპს "გეკო 2016", ჩხოროწყუ, შენგელიას ქ. № 8;
- შპს "ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია", სენაკი, მშვიდობის ქ. №168;
- შპს "ოპტიმა" იბერკომპანი, სენაკი, მშვიდობის ქ. №172;
- ინდ/მეწარმე ვალერიან ლაზარია, სენაკი, წერეთლის ქუჩა;

- ინდ/მეწარმე ნონა სვანიძე, აბაშა, გამსახურდიას ქ. № 83;
- შპს "სიგა-ტრანსი", აბაშა, ნორიო;
- შპს "შენგე ოილ", აბაშა, ქოლობანი.

3. შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი (29 სინჯი):

- შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი", ყაზბეგი;
- შპს "დიო ოილი", მცხეთა, ძეგვი;
- შპს "ლუკაოილი", დუშეთი, ჟინვალი;
- შპს "რომპეტროლ ჯორჯია", მცხეთა, ნატახტარი;
- შპს "სან პეტროლიუმ ჯორჯია", ხაშური, ოსიაური;
- შპს "777", ქარელი, დაბა აგარა;
- შპს "რომპეტროლი", ხაშური, ბორჯომის ქ. №190 ;
- შპს "ლუკოილ ჯორჯია", ხაშური, ბორჯომის ქ. №192;
- შპს "ლოკალი" "ხაშური, ბორჯომის ქ. №26;
- შპს "ოილ ლენდი", გორი, სუხიშვილის ქ. № 188;
- შპს "ქართული ნავთობი", გორი, სოფ. ბერბუკი;
- შპს "გუდლაიკი", გორი, სოფ. ბერბუკი;
- შპს "რეალი", გორი, სუხიშვილის ქ. №8.

4. ქვემო ქართლი (30 სინჯი):

- ინდ/მეწარმე თამაზ აბრამიშვილი, მარნეული, სოფ. შულავერი;
- შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი", მარნეული, სოფ. შულავერი;
- შპს "ბი პი", ბოლნისი, სოფ. რაჭისუბანი;
- შპს "ფრეგო", ბოლნისი, სოფ. ნახიდური;
- შპს "მმ ოილი", მარნეული, ფიროსმანის ქუჩა;
- შპს "ბი პი", მარნეული, სოფ. ბაილარი;
- შპს "ალგეთი", მარნეული, სოფ. ალგეთის მიმდებარედ;
- შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი", მარნეული, რუსთაველის ქუჩა;
- შპს "ქსილიქსი", რუსთავი, თბილისი-ბაქოს გზატკეცილი;
- შპს "ნიუ ოილი", გარდაბანი, სოფ. სართიჭალის მიმდებარედ;
- შპს "სან პეტროლიუმ ჯორჯია", რუსთავი, შარტავას გამზირი;
- შპს "ფრეგო", რუსთავი, მშვიდობის ქუჩა;
- შპს "იბერკომპანი", რუსთავი, აღმაშენებლის ქუჩა;
- შპს "რომპეტროლ საქართველო", რუსთავი, მშენებელთა ქუჩა;
- შპს "ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია", გარდაბანი.

5. იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი (34 სინჯი):

- შპს „მ-ოილი“ („მაგნატი“), ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ. N87;
- შპს „ტოტალი+1“, ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. 21ა;
- შპს „ეკოპეტროლი“, ქუთაისი, ლომოურის ქ. 11ა;
- შპს „მ-ოილი“, სამტრედია, რესპუბლიკის ქ. N130;
- შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“, სამტრედია, კოსტავას ქ. N47;
- შპს „მ-ოილი“ („ალპედე“), ზესტაფონი, სტაროსელსკის ქ. N22;

- შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ („G-ეკონომი“), ზესტაფონი, რუსთაველის ქ. N43;
- ი.მ. მევლუდ ტაბეშაძე („ჯორჯია+“), ბაღდათი, სოფ. დიმი;
- შპს „იბერკომპანი“ („ოპტიმა“), ვანი, ტაბიძის ქუჩის მიმდებარედ;
- შპს „მ-ოილი“ („პეტროლი“), ხონი, ჭავჭავაძის ქ. N16;
- შპს „ლუკოილ-ჯორჯია“, ონი, ვახტანგ მე-6 ქ. N8ა;
- შპს „ნიკოილი-111“, საჩხერე, თამარ მეფის ქ. N21;
- შპს „დანია“, ჭიათურა, მღვიმევის ქ. N2;
- ინდ. მეწ. ტაგუ ფუტკარაძე, ცაგერი, სოფ. ბარდნალა;
- ინდ. მეწ. ქეთევან ვაწაძე, სოფ. ქვედა ცაგერი;
- შპს „რომპეტროლ საქართველო“, ამბროლაური, ბრატისლავას ქ. N18;
- შპს „რომპეტროლ საქართველო“, წყალტუბო, სოფ. ქვიტირი;
- შპს „ვესტ სთარი“ (რ.ჯ. პეტროლი), წყალტუბო, სოფ. ფარცხანაყანები;
- შპს „თეშა ოილი“, ტყიბული, ტყვარჩელის/ხრესილის ქ. N2.

6. აჭარა, გურია (32 სინჯი):

- შპს „ჯეო სტანდარტი“, ოზურ/რაი. სოფ მერია;
- შპს „ჩიბათი“, ლან.რაი/სოფ ჩიბათი;
- შპს „მეგარონი“, ლან.რაი/სოფ ჯურუყვეთი;
- შპს „ფრეგო“, ლანჩხუთი კვირკველიას N3;
- შპს „lion“, ბათუმი აერ/ გზატკეცილი N127;
- სს „მეტრო ჯორჯია პეტროლი“, ბათუმი, გოგოლის N 1;
- შპს „მაია“, ქედა სოფელი ახო;
- შპს „ბარი“, ქედა სოფელი კოკოტაური;
- სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“, ბათუმი ტბელ აბუსელიძის 35ა;
- შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმ“, ბათუმი, ხიმშიაშვილის მიმდ.;
- შპს „სკიპი“, ბათუმი, ფიროსმანი N 20;
- შპს „ნინიმა“, ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის 296;
- შპს „აისი“, ბათუმი ფრიდონ ხალვაშის 194;
- შპს „პროგრეს ოილი“, ხელვაჩაური ახალშენი;
- შპს „შელ-ჯორჯია“, ქობულეთი თავისუფლების 69;
- შპს „მტს ოილი“, ქობულეთი მესხიძის 13;
- სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“, ჩოხატაური, 9 აპრილის ქუჩა;
- შპს „იბერკომპანი“, ოზურგეთი სოფ. ლიხაური;
- ი/მ დავით თოიძე, ოზურგეთი ნატანები;
- შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“, ჩოხატაური ლომთათიძის 1.

7. სამცხე-ჯავახეთი (27 სინჯი):

- სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“, ახალქალაქი, შაუმიანის ქუჩა;
- შპს „კაროილი“, ახალქალაქი, სოფ. ხულგუმო;
- სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“, ახალქალაქი, აღმაშენებლის ქუჩა;
- შპს „არალპეტროლი“, ადიგენი, სოფ. არალი;
- სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“, ნინოწმინდა, თავისუფლების ქუჩა;
- შპს „იბერკომპანი“, ახალციხე, აბასთუმნის გზატკეცილი;
- შპს „საბპეტროლი“, ადიგენი, ვალეს საბაჟოს მიმდებარედ;
- ბორჯომი, დაბა წაღვერი;

- სს "ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია", ბორჯომი, აღმაშენებლის ქუჩა;
- შპს "M&E company", ადიგენი, სოფ. ბენარა;
- შპს "იბერკომპანი", ადიგენი, ბალახაშვილის ქუჩა;
- შპს "ლოდოილი", ახალქალაქი, ბაკურიანის გზაჯვარედინი;
- შპს "იბერკომპანი", დაბა ასპინძა;
- სს "ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია", დაბა ასპინძა;
- შპს "ფრეგო", ახალქალაქი, აღმაშენებლის ქუჩა.

8. კახეთი (30 სინჯი):

- შპს "პორტალ+", საგარეჯო წყაროსთავი;
- შპს "გოლიათი", საგარეჯო ბადიაური;
- ინდ/მეწარმე ანდრო ხუციშვილი, დედოფლისწყარო ზემო ქედი;
- ინდ/მეწარმე დავით ოზბეთელაშვილი, დედოფლისწყარო ხორნაბუჯი;
- შპს "წნორი+", სიღნაღი, წნორი;
- შპს "ენერჯი", სიღნაღი, ვაქირი;
- შპს "პეტროტეკი", საგარეჯო, მანავი;
- შპს "ენ ოილი", საგარეჯო;
- შპს "აი-ჯი-კომპანი", გურჯაანი, კაჭრეთი;
- შპს "777", გურჯაანი;
- შპს "ეკოპეტროლი", ლაგოდეხი;
- ი/მ მამუკა ქემაშვილი, ლაგოდეხი, სოფ. კავშირი;
- შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი", ყვარელი;
- შპს "ლუკოილი+", ახმეტა;
- შპს "ელვა", ახმეტა, ქვემო ალვანი;
- შპს "ფრეგო", თელავი;
- შპს "ჯიემთი კომპანი", თელავი;
- ი/მ გივი აბელაშვილი, თელავი;
- სს "ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია", თელავი;
- შპს "გრანდი", თელავი.

აღებული სინჯები საანალიზოდ გადაიგზავნა საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე შპს „სჯს ჯორჯია“-ს კუთვნილ ლაბორატორიაში. ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ თითოეულ საანალიზო ნიმუშში ტყვიის შემცველობა შეადგენს <0,0025 გ/ლ, რაც არ აღემატება "საავტომობილო ბენზინის ხარისხობრივი ნორმების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 31 დეკემბრის №124 დადგენილებით განსაზღვრულ ნორმას (2012 წლის 1 იანვრიდან ტყვიის შემცველობა - არაუმეტეს 0,005 გ/ლ).

პატივისცემით,

ნანა ჩინჩილაკაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი



სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტი